წელიწადი მეორე ფასი 5 კაპ. ოთხშაბათი, 13 აპრილი 1916 წ. № 81

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს" რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело", поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი
ჩვეულებრივი სტრიქონი, პირველ გვერდზე—15 კ., უკანასკნელზე—10 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ეღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლ. გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ეღირება 4 მ.
დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი მეორე. საქართველო წელიწადი მეორე.

უპრემიოდ ღირს: ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ერთის წლით 8 მ. 50 კ. 6 თვით—4 მ. 50 კ. 3 თვით—2 მ. 50 კ. 1 თვით—80 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.
პრემიებით: წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 მაისამდე—5 მ. გაზეთი ყველა პრემიებით 9 მანეთად დაეთმობა, ვინც ფულს ამთავითვე სრულად შემოიტანს.
სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 3 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 4—მან.
გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე საღამოთი—5—7 საათამდე.
ფოსტის მისამართი: Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.
რედაქტორ-გამომცემელი სანდრო შანშიაშვილი.

აღდგომას, 10 აპრილს, მცირე ავადმყოფობის შემდეგ ზუბალაშვილისეულ ქალაქის საავადმყოფოში ფილტვების ანთებით გარდაიცვალა მოწაფე—ქალი

ქსენია კეკელიძე

რასაც უგულითადეს მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, განსვენებულის უფროსი ძმა—თეოფილე კეკელიძე.
დაკრძალვა—დღეს,—13 აპრილს, პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. ცხედრის გამოსვენება ქალაქის საავადმყოფოს ეკლესიიდან (ავლაბარში) დანიშნულია ნაშუადღევის 3 საათზე.

საუკეთესო კახური
ღვინის საწყობი
ადამ ზურაბის ძის
ბერელაშვილისა
მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.
(102—წ.)

საგალანტერიო მაღაზია
ერ. ივ. ჭავჭანიძისა და
ი. ი. გველესიანისა
იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.
იშოვება ყოველგვარი საგალანტერიო საუკეთესო საქონელი: ჩულქეულობა, ქოლგები და სხვა ახალ მოდის საქონელი
(101—წ.)

საუკეთესო კახური
ღვინის საწყობი
გიორგი ილიას ძის
ჩუბინაშვილისა
მისამართი: ავლაბარი, პეტრე პავლეს-ქუჩა კახეთის მოედანი.
(თ—81—4)

შეშის საწყობი
ნიკოლოზ იოს. ჭრელაშვილისა
ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ღირსების შეშა
ყველასთვის ხელმისაწვდენ ფასში
საკუთარი ტყიდან
საწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კისრულობს შინ მიტანასაც
(103—წ.) ტელეფონი 5—96.

ქ. ბაქოში
ღვინით ვაჭრობა
„მელაანი"
თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი და ამხ.
იშოვება საუკეთესო კახური ღვინოები
(112—წ.)

მოდური
მაღაზია
მ. ბაშარულისა
სასახლის ქუჩაზე
იშოვება ყოველგვარი საუკეთესო რჩეული საქონელი
მხოლოდ ევროპიული
(—83—1)

ლექსთა კრებული


-სა

თანდათანობით ურიგდება ხელის მომწერთ.
ზედმეტად მორჩენილი წიგნები იყიდება:
1) წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების მაღაზიაში.
2) „განათლების" კანტორაში (ოლღას ქუჩა).
3) „ნოვ, რეჩ"-ის წიგნის მაღაზიაში (პროსპექტზე).




„მერანი"-ს
პირველ წიგნში მოთავსებულ იქნება:

ლ ე ქ ს ე ბ ი.
სალამური—სანდრო შანშიაშვილისა, რა კარგი ხარ—ი. გრიშაშვილისა, სიკვდილ სიცოცხლის ცეკვა—კ. მაყაშვილისა, ილიასადმი—შიო მღვიმელისა, ლექსები—გ. ქუჩიშვილისა, ლექსები ვარ. რუხაძისა.

მ ო თ ხ რ ო ბ ე ბ ი
დარო (დაუბეჭდავი)—ალ. ყაზბეგისა, ესკიზები—ინ-ბანისა, მუხა და ტირიფი—ლეო ქიაჩელისა, ღვირღვა—დ. კასრაძისა და სხვათა.

დ რ ა მ ე ბ ი
ჭკუა მხიარული—პიესა ერთ მოქმედებად—ტრიფონ რამიშვილისა, ბერდო ზმანია—სანდრო შანშიაშვილისა.

მუსიკა (ნოტებზე)
ეროვნული ჰიმნი—დიმიტრი არაყიშვილისა.

მხატვრობა.
მერანი და ოცდა ათამდე სხვა ორიგინალი სურათი—ვლ. სიდამონ-ერისთავისა, მერანი—ტარასი მომცემლიძისა.
წიგნი მოზრდილი ფორმატისა იქნება.
ცალკე გასასყიდად ცოტა დაიბეჭდება.

6 აპრილს თბილისის სადგურზე საღამოს 9 საათამდე

დავკარგე

საფულე თერთმეტ თუმან ნახევრით, ვექსილი ექვს თუმან ნახევრისა, მოწმობა თბ. სას. სემინარიაში სწავლისა, მოწმობა სამხედრო ბეგრისაგან განთავისუფლებისა, სხვა და სხვა გვარი კვიტანციები და ვალდებულებანი. მპოვნელს ვსთხოვ დოკუმენტები დამიბრუნოს შემდეგი მისამართით: დიდუბის ქუჩა, № 6, ივანე გიორგის ძე არონიშიძეს, ფული კი დაიტოვოს.
(2—151—2)

ექიმი-დოსტაქარი
გ. მ. მუხაძე
იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

ექიმი მ. გ. ვეფხვაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.
20—67—20

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა
ახალი აფთიაქი
პროვიზორის ახვლედიანისა

ექიმი
მ. დ. წინამძღვრიშვილი
ყ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულელებიანს სპეციალურად, საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

მოსე ანთიმოსის ძე
კალანდარიშვილი
უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.
ტელეფონი, 17—21.

ვაგზლის სამკურნალოში
(შიხინოვის ვაგზლის აფთიაქის გვერდით)
სამკურნალოს ყველა ექიმებმა კვლავ განაახლეს ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე.
აგრეთვე ექიმი—ქალი მარ. კონ. იოსელიანისა მიიღებს დედათა სნეულებით ავადმყოფთ დილის 10—11 საათამდე.
(თ.—126—16)

# ომის ამბები

## ომის დეპეშები

### უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.

**პეტროგრადი.** 9 აპრ. ოფიციალი. დასავლეთის ასპარეზი. დვინსკის მიდამოებში გერმანელებმა ზარბაზნების სროლა გაახშირეს სოფელ გორბუნოვკისა და გინოვკის მიდამოებში. გალიციაში მტრის ჰაეროპლანმა ტარნოპოლს ყუმბარები დაუშინა. ნოვო-ალექსიცის სამხრეთით რუსები წააწყდნენ გერმანელების ჰაეროპლანს, რომელსაც ცეცხლი მოსდებოდა. ალბად ეს ჰაეროპლანი იყო, ტარნოპოლს რომ ყუმბარები დაუშინა.

**კავკასიის ასპარეზი.** ზღვის სანაპიროებში რუსები ტრაპიზონის დასავლეთით წინ მიიწევენ. მოპირდაპირე შეეცადა მათს შეფერხებას, მაგრამ უკუაგდეს. აშკალის მიდამოებში, სოფ. ხანაფირნაგო-ბაჩ-ხანლარის მახლობლად ბრძოლა გრძელდება. მოპირდაპირემ მამახათუნის მიდამოში შემოტევა სცადა, მაგრამ მოიგერიეს.

**პეტროგრადი,** 10 აპრილი. ოფიციალი დასავლეთი ფრონტი. ღამით, 9 აპრილს და დღისით გერმანელებს საარტილერიო სროლა არ შეუწყვეტიათ იქსკიულის მიმართულებით. დვინსკის რაიონში გერმანელთა ჰაეროპლანები დაჰფრინავენ. ოგინის მხრის ერთერთს რაიონში გერმანელებმა მოშხამული ბოლი გამოუშვეს. ვიგონის ტბის ჩრდილოეთით გერმანელთა ერთი რაზმი დღისით გადავიდა მდ. შარზე და ტყეში შევიდა. აქ რუსთა რაზმები შემოერტყნენ და ერთი ნაწილი ამოჰხოცეს, დანარჩენნი კი დაატყვევეს. 8 აპრილს რუსებმა მოსპეს ავსტრიელთა საყარაულო ხრიასთან, ჩარტორისკის ჩრდილოეთით. სოპანოვის რაიონში, კრემენცის ჩრდილოეთით, გერმანელებმა სამგან აafეთქეს ნაღმი, მაგრამ ნათხარი ადგილი ისევ რუსებს დარჩათ. რუსებს ზარალი არ მოსვლიათ.

**კავკასიის ფრონტი.** ალაშქერის რაიონში რუსების მიერ ყოველგან მოგერიებულ ოსმალთა მკაცრი იერი-

შები. მოულოდნელი კონტრიერიშებით რუსებმა ერთი ნაწილი იგდეს ხელთ.

**პეტროგრადი**, 11 აპრილი. დასავლეთი ფრონტი. გერმანელთა ჰაეროპლანებმა ყუმბარები ჩამოჰყარეს დვინსკის რაიონში. რუსთა ჰაერის ფლოტმა „ილია მურომეცმა“ სადგურ ღუდზევასის თავზე ჩამოაგდო 30 ფუთიანი ყუმბარები. დანარჩენ ფრონტზე სროლაა.

**კავკასიის ფრონტი.** საზღვაო რაიონში ოსმალები შეეცადნენ ტრაპიზონისკენ წამოსვლას, მაგრამ უკუგდებულ იქმნენ. ალაშქერტის რაიონში ბრძოლა გრძელდება. ხარპუტის მიმართულებით ოსმალთა იერიშები შეჩერებულ იქმნა.

—

**პარიზი**, 8 აპრილი. საღამოს ცნობა. არგონებში „285-ის სიმაღლესთან ოტბევოში ფრანგებმა აიღეს გერმანელების ნაღმიანი აფეთქებული ამონათხარი.

მაასის მარცხენა ნაპირას ცხარე ბრძოლა იყო ზარბაზნებით მორტჰომას ახალ თხრილებთან. მაასის მარჯვენა ნაპირას მოპირდაპირე მეღგრად ასროდა ზარბაზნებს მაასიდან დაწყებული ვოს ციხე-სიმაგრემდე. ვევრში ძლიერი სროლა იყო ზარბაზნებით ეცოს შანტილინის და რონვოის მიდამოებში. ქვეითა ჯარის ბრძოლა არა ყოფილა. ფრანგებმა ორს მტყორცნელი ზარბაზნები დაუშინეს ვინელგატის სადგურს და ონშატელს, სენმიელის ჩრდილო-აღმოსავლეთით.

რენიევილის ჩრდილოეთით ფრანგებმა ლამანშ-ნოსარის გზით მიმავალი მტრის ბარგის ურმები გაჰფანტეს.

**პარიზი**. 9 აპრილი. დღისით მოსული ცნობა. მაასის დასავლეთით ძლიერი საარტილერიო მომზადების შემდეგ გერმანელებმა იერიშები განაახლეს მორტჰომის ფერდობთა ჩრდილოეთით. მათ თხრილების პირველ რიგზე მოახერხეს გამაგრება, მაგრამ მალე კონტრიერიშებით უკუქცეულ იქმნენ. მერმე იერიში მოიტანეს კორრეტის ტყის ჩრდილოეთით. თან ადუღებული სითხე მოიხმარეს. ეს იერიშებიც მოგერებულ იქნა. მაასის აღმოსავლეთით ინტენსიური სროლის შემდეგ გერმანელებმა იერიშები მოიტანეს მაასამდე ვოს ფორტამდე. აქეთკენ ფრანგებმა მოჰმართეს თავიანთ არტილერია და გერმანელთ განზრახვა ჩაუშალეს.

**ლონდონი** 8 აპრილი. თრანგმა გევგელისა და ბოგოროდიცის ბრძოლის ხაზს ყუმბარები დაუშინეს. 5 აპრილს ღამეს ზარბაზნები დაუშინეთ მტრის ყაზარმებს გევგელში. 7 აპრილს ღამე ზარბაზნები დავუშინეთ სტრარს, ნეგორცეს, პარდოვიცის მხარეს მდებარე მტრის ბანაკს და სტრუმიცას სადგურსაც. დღეს ვარდარის მარჯვენა ნაპირას ბულგარელთა მზვერავ რაზმებთან შეტაკება მოგვიხდა.

**პარიზი**, 10 აპრილი. დღისით მოსული ცნობა. ვოკუას დასავლეთით გერმანელებს მთელს ღამის განმავლობაში მოჰქონდათ იერიში, მაგრამ მოგერებულ იქმნენ. მაასის დასავლეთით მტერს იერიშები არ განუახლებია მდ. ბეტანკურისა და მორტჰომის შუა. ავოკურის ტყეში მოულოდნელად იერიში მივიტანეთ და რამდენიმე ტყვე წამოვიყვანეთ. მაასის აღმოსავლეთით და ვევრში დროგამოშვებით საარტილერიო სროლა იყო. დანარჩენ ფრონტზე სიწყნარეა.

**ლონდონი**, 10 აპრილი. დაჰლუპეს ფრანგთა სავაჭრო გემი „ჟენერალი“, „ტრაგანტალი“ და „კეროგაუნი“. გემის მსახურნი გადაარჩინეს.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**ოსმალეთი**

„ბირჟ. ვედ.“-ს ათინიდან ატყობინებენ: გერმანელებს დიდის სისწრაფით გადაჰყავთ ოსმალეთის ჯარი სომხეთის ასპარეზზე. სტამბოლში გერმანეთმა ამ საქმისთვის დიდძალი ვაგონები გაგზავნა.

**შიმშილობა ოსმალეთში.**

„ბ. ვ.“ ცნობებით ოსმალეთს ორ თვეს თუ გაჰყვება სურსათი, მერე კი მთელს ოსმალეთში საშინელი შიმშილი ჩამოვარდება.

**ჰოლანდია**

ჰოლანდია გაფაციცებით ემზადება საომრად. მოკავშირე სახელმწიფოთა წარმომადგენლები არწმუნებენ ჰოლანდიას, რომ მათ არავითარი განზრახვა არა აქვთ ჰოლანდიის ნეიტრალობის დარღვევისა.

**გერმანეთში**

ბერლინში განკარგულება მოახდინეს, თითო სულს თვეში ეძლიოს შაქარი არა უმეტეს ორი გირვანქისა.

**გერმანეთის და რუმინიის შეთანხმება.**

„ტაიმსი“ სწერს გერმანეთ რუმინეთის ვაჭრობის ხელშეკრულობის შესახებ: იგი ხელსაყრელია რუმინეთისათვის, სასარგებლოა გერმანეთისთვისაც, რადგან ასუსტებს ბლოკადის მოქმედებას. მაინც კი ომის მსვლელობა ბრძოლის ველზედ, განსაკუთრებით სალონიკის ოპერაციები რუმინეთს იმედს აძლევენ ჩქარა აღადგინოს მიმოსვლა საფრანგეთთან და ინგლისთან, რის შემდეგაც რუმინეთი გადაჭრილ გზას გაადგება.

რუმინიის მინისტრმა პარლამენტში შეიტანა კანონ-პროექტი ას-ორმოცდაათი მილიონიანი სესხის აღებისა.

გაზეთი „არგუს“-ის ცნობით მთავრობამ შეიმუშავა კანონ-პროექტი, რომლითაც იკრძალება ომის განმავლობაში და მის გათავების ერთი წლის შემდეგ ხორბლეულობის გატანა რუმინეთიდან.

**ოსმალეთის ცნობა „პორტუგალ“-ის თაობაზე.**

ოსმალეთის მთავრობამ „პორტუგალ“-ის დაღუპვის გამო გამოაცხადა: 1) ეს გემი წყალქვეშამ წინა ღამითვე შეამჩნია, 2) გარეგნულად უკვე დაინახეს რომ გემს რამდენიმე ნავტიკი ჰქონდა გამობმული, რომლებშიაც ჯარისკაცები ისხდნენ, 3) წყალქვეშას უფროსი თავისი თვალით დარწმუნდა, რომ ეს იყო ნაცრის ფერად შეღებილი წითელ ზოლიანი სამხედრო-სანავოსნო გემი, სამარი მასალით დატვირთული, 4) გემს არა ჰქონდა არავითარი ნიშანი წითელ-ჯვრის საზოგადოებისა, 5) „პორტუგალ“-ს მხოლოდ მეორედ ნასროლი ნაღმი მოხვდა, რომელიც ძლიერის ძალით გასკდა რადგანაც გემზე ბევრი ასაფეთქებელი ნივთიერება იყო,

ამ ცნობების გამო რუსეთის სახლვაო მთავარი შტაბი ამბობს: ყოველივე ზემო ნათქვამი სიმართლეს მოკლებულია. წყალქვეშამ 35 საჟენის მანძილზე გარს შემოუარა „პორტუგალს“ და მისი უფროსი როგორ ვერ შეამჩნევდა წითელ-ჯვრის ნიშანსაო.

**ხელმწიფე იმპერატორი ბრძოლის ველზე.**

1 აპრილს, უმაღლესი მთავარ-სარდალი, ხელმწიფე იმპერატორი ბრძოლის ველზე ჯარს ათვალიერებდა ჩერნოვიცის მახლობლად, კამენეცის გზატკეცილის მარცხნივ ტყესთან მშვენიერი კაშკაშა დღე იყო. მეფე ცხენით უვლიდა ჯარს, დაუსრულებელი „ურა“ მიდამოს აყრუებდა. სწორედ 11 საათზე ცაზე იგრგვინა ყუმბარამ, თეთრი ბოლი ავარდა, გასკდა მეორე ყუმბარაც... ძირიდან ზარბაზნების სროლა ასტეხეს. ეს გახლდათ მტრის ორი ჰაეროპლანი, რომლებმაც ხუთი ყუმბარის ჩამოგდება მოასწრეს ამ მიდამოში და მერე მიეფარნენ. ყუმბარის ნატეხით დაიჭრა დარაჯად მდგომი ჯარის კაცი ანატოლი პოსტავნეევი.

## უკანასკნელი ფოსტა

**გერმანეთი და ამერიკა**

სტოკჰოლმიდან დეპეშით იტყობინებიან 10 აპრილის თარიღით: შეერთებულ შტატების ნოტაში, რომელიც გერმანეთის მიმართ არის შედგენილი, აღნიშნულია: „სუსექსის“ დაღუპვა რომ ერთი შემთხვევათაგანი იყოს წყალქვეშა ბრძოლისა, მაშინ შეიძლებოდა ეს საქციელი წყალქვეშას უფროსის დასჯით დასრულებულიყო, მაგრამ სჩანს გერმანეთს გადაწყვეტილი აქვს გარკვეულის გეგმით იმოქმედოს წყალქვეშა გემებით და მოურიდებლად ჰლუპოს ხოლმე ყველა სავაჭრო გემები, ვისიც უნდა იყოს. რადგანაც ჩვენ გერმანეთის ერს და მთელ მთავრობას მეგობრულის გრძნობით ვეკიდებით, ჩვენ დღევანდლამდე მოთმინებით ვიტანდით ასეთს საქციელს, ეხლა კი ეჭვს გარეშედ მიგვაჩნია, რომ წყალქვეშათა ბრძოლა დიდს საფრთხეში აგდებს აღებ-მიცემობას, რის გამოც შეუწყნარებელ დანაშაულობად უნდა ჩაითვალოს კაცობრიობისა, ნეიტრალ სახელმწიფოთა და მებრძოლ მხარეთა მეომრების წინაშე.

## ბრძოლის ველზე

**კავკასიის ასპარეზი**

აგერ, მთელმა კვირემ გაირბინა რაც ტრაპიზონი დაეცა. ეფექტი კავკასიის ჯარების გამარჯვებისა მთელს ქვეყნიერებაზე იმდენად ძლიერი იყო, რომ თვით ვერდენის ოპერაციაც კი დაავიწყეს. ახლა საკმაოდ დავშორდით ამ ამბავს და შეგვიძლიან უფრო მიუდგომელ კრიტიკას დავუთმო ადგილი.

თქმა არ უნდა, ტრაპიზონის დაცემა არავისთვის სიურპრიზს არ წარმოადგენდა. აჩქარებული და სენსაციის მოყვარული ხალხი მას ნაადრევად მოელოდნენ. თებერვლის ტრიუმფით გაბრუებულნი ჰფიქრობდნენ ტრაპიზონიც ხუთ დღეში დაეცემაო, მაგრამ ჩვენ ხომ სასენსაციო ხალხთან არა გვაქვს საქმე. სინამდვილემ სხვა დაგვანახვა. ადგილმდებარეობა, უგზოობა თავის თავად ჰგულისხმობდა, რომ ეს ეფექტი კარგად დაიგვიანებდა და კიდევ უნდა დაგვიანებულიყო ვერდენით, ვიდრე ეს მოხდა, და აი რატომ: აზრუმის დაცემის შემდეგ, როგორც ვიცით, რუსის ცენტრალი ძალა შეუდგა ოსმალთა დევნას. საზღვაო ნაპირებზე, სახელდობრ ლაზისტანში, გათამამებულ კავკასიის ჯარებს იმ დრომდე არ შეეძლოთ თვისუფალი მოქმედება, ვიდრე ათინაში დესანტი არ გადმოსხეს. ამ ჯართა მოქმედება ვიცით. მათ აიღეს რიზე გადალახეს კალაპოტმოსი და ვიწრო ფრონტით, ზღვის ნაპირებზე უტევებოდით მეტად მძიმედ სვლა. აქეთ, მათ დაჰყურებდა გაუვალი მთაგორაკების ჯაჭვი, რაიც ღია და ფართო მოქმედებაში ფრიად უშლიდათ ხელს, რომ ოპერაცია ჩინებულად დაესრულებინათ.

ოპერაციის საქმე მით უფრო გართულდა, რომ 20 მარტს „ბრესლაუმ“ და ნაღმოსნებმა ოსმალთ ჯარები მიაშველა ტრაპიზონის რაიონში. ჩვენ არ ვიცით ამ ჯართა რაოდენობა. ვიცით, რომ მათი მოშველების შემდეგ რამდენიმე მკაცრი ბრძოლა მოხდა, რომელთა აღხუსხვა მთავარშტაბმა საიდუმლოდ შეინახა და გაკვრითი გადმოცემით დაგვაკმაყოფილა. კავკასიის შტაბი კარგად ჰხედავდა, რომ ასეთი გზით ტრაპიზონის აღება დაიგვიანებდა. არ ვიცით, რა მოხდა, რა მანევრების წყალობით მოხერხდა ეს, მაგრამ ვიცით, რომ მთავარი ძალების თავის მოყრა ბაიბურთის მიმართულებით მოხდა სწორედ მაშინ, როდესაც რუსებმა სრულიად მოულოდნელად ახალი დესანტი გადასხა მდ. ყარადერესთან ხდება სასტიკი სისხლის ღვრადა სამი დღის ბრძოლის შემდეგ აიღებენ კიდეც ტრაპიზონს.

აქ, როგორც ჰხედავთ, ცოტა ანორმალ მოვლენასთან გვაქვს საქმე.

ტრაპიზონი აიღო დესანტმა. ათინეს გადმოსული მეთოდიური სვლით არც-კი მოუღწევიათ დანიშნულ ადგილამდე. რა ჰქნეს აქ მებრძოლმა ოსმალებმა? [illegible] მათ უნდა [illegible] ბაიბურთისკენ დაეხიათ, რომ გზა მოჭრილნი ტყვეებად არ ჩაჰვარდნოდენ გამარჯვებულთ.

რაც უნდა იყოს, აქ რუსების საკმაოდ ძლიერ ძალებთან ჰქონდათ საქმე. მარტო ის ფორტი, რომ ამ რაიონში მდგარი ოსმალთა ძალები მთელს ომის განმავლობაში ძლიერს ბრძოლაში არ იღებდნენ მონაწილეობას და, მაშასადამე დასვენებულნიც იყვნენ, ასე ადვილად ვერ დამარცხდებოდნენ რომ რომ ტყვეობაზეც კი თავი დაედოთ. რუსის მხედრობის ლაზისტანში ლაშქრობის დროს ყოველთვის ამ დასვენებულ ჯარებთან ჰქონდათ საქმე. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ოსმალთა ეს ძალები 20 მარტიდან გაძლიერებული იქმნენ გალიპოლიდან გადმოსული ძალებით, რომელნიც ბრესლაუმ, უნდა ვიფიქროთ, ტრაპიზონის მახლობლად გადმოსხა.

რა იქნენ ეს ძალები? რა ჰქნეს მათ? ყველა ეს კითხვები საიდუმლოა და პასუხი არ სჩანს. აი ყველა ამის შემდეგ მით უფრო ჰხდება ტრაპიზონის დაცემა სასენსაციო ამბავი, ხოლო ოსმალთა ტაქტიკა თუ მარცხი ანორმალური სახისა, რომელიც განსაკუთრებულს განმარტებას მოითხოვს.

თუ დავაკვირდებით დეპეშათა უკანასკნელ ცნობებს, დავინახავთ, რომ საიდუმლოს გაცნობა არც ისე ძნელია. აქ მხედველობაში გვაქვს არა ტრაპიზონის მხრით შემოტევა, არამედ ბაიბურთისკენ სოლად ჩაბჯენილ ოსმალთა მკაცრი იერიში თუ კონტრიერიშები. აი, აქ, ამ მიმართულებით უნებურად, რუსთა მანევრების წყალობით თუ მოუფიქრებელ ტაქტიკის წყალობით ან და იძულებით ოსმალთა ძალებს მოუყრიათ თავი და შეცდომის გასწორებას ჰლამობენ. მთელი ეს მიმართულება, ერზინჯან-ხარპუტის მიმართულება იპყრობს მეტს ყურადღებას. აქ უნდა მოველოდეთ სასტიკ ბრძოლას. თვით ოსმალნიც სწორედ აქ იტყვიან უკანასკნელს პასუხს, რაიც მათთვის არავითარს დადებითს პასუხს არ იძლევა, ეს თვით ოსმალთაც კარგად შეუგნიათ, რადგანაც, როგორც დეპეშებმა ცნობა მოიტანეს, უკვე ანგორიდან ძველი ტყვე, ყოფილი სულთანი აბდულ-ჰამიდი შორს გადაიყვანეს. ალბად, შიში აქვთ რუსთა მხედრობისა... ყოველ შემთხვევაში ასთევე ამ მიმართულებით აღინიშნება როგორც სასტიკი სისხლის ღვრის ხანა, შესაძლებელია ისეთი, რომლის მზგავსი ჯერ კავკასიის ასპარეზს არ ენახოს ისტორიაში.

**ვერდენის გარშემო.**

ვერდენთან მდგომარეობა არ შეცვლილა. ეხლაც ბრძოლის ხაზი იგივე მორტჰომ კიუმიერია. გერმანელებს ინიციატივა უჭერიათ. მეთოდიურად ხან მარცხნივ უტევენ და ხან მარჯვნივ. ვის რა ზარალი მოსდის, ამის აღნუსხვა ძნელია. ეს კი აშკარაა, რომ გერმანელთ ამ ტაქტიკის წყალობით რაოდენადმე მიზანს მიაღწიეს: ფრანგები ჯარებს არ ინდოჲენ და უხვად ეზიდებიან ვერდენისკენ, რადგანაც მის დაკარგვას ომის საკითხის გარდაწყვეტა დაუკავშირეს. ყოველ შემთხვევაში ვერდენის ოპერაცია ერთგვარი თილისმაა, რაიც ბევრს სიურპრიზს დაგვანახვებს, რის წარმოდგენაც კი მის დაწყებამდინ არ შეგვეძლო...

X

## ტფილისი, 13 აპრილი.

**კულტურული კავშირი.**

საქართველოს დედაქალაქ თბილისში იკრიბებიან ჩვენი ქვეყნის ყველა კულტურულ საზოგადოებათა წარმომადგენლები, რომ საძირკველი ჩაუყარონ ქართულ კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებათა კავშირს. ამ რიგად შეიქმნება ერთი უმაღლესი ორგანო, რომელიც გააერთიანებს და შეათანხმებს ჩვენი ქვეყნის სხვა და სხვა კუთხეში და სხვა და სხვა კულტურულ ასპარეზზედ მომქმედ დაწესებულებათა მოღვაწეობას. შეთანხმებული და გაერთიანებული ძალებით მოქმედება ყოველთვის ნაყოფიერი გამომდგარა და ჩვენც იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ახალი კავშირიც მაზედ დამყარებულ იმედებს სავსებით გაამართლებს.

ასეთი კავშირის დაარსება უთუოდ ცხოვრების მოთხოვნილებაა. არა მხოლოდ კულტურულ ასპარეზზედ უნდა ვქმნიდეთ ჩვენ შემაკავშირებელ, გამაერთიანებელ ორგანოებს. ეროვნული ცხოვრების ყოველ ასპარეზზედ,—მეურნეობა იქნება ის, აღებმიცემობა თუ სწავლა-განათლება—უნდა მოგვეპოვებოდეს ჩვენ ასეთი უმაღ- [illegible] კუთარი მართვა-გამგეობა აქვს, ძალთა შემათანხმებელ მუშაობას თვით მთავრობის სხვა და სხვა ცენტრალი დაწესებულებები, სამინისტროები ასრულებენ. ხელმწიფებას მოკლებული ერი კი თუ მას ეროვნული სიცოცხლე სწყურიან, თვით უნდა ჰქმნიდეს თავის ეროვნულ ეკონომიურ და კულტურულ ძალთა გამაერთიანებელ კავშირებს, რომ მით ცხოვრების ყველა მოვლენები საერთო ეროვნულ ზრდა-განვითარების იდეას შეუთანხმოს, დაუქვემდებაროს. საქართველოს კულტურულ ასპარეზზედ მომქმედი ძალები უკვე კავშირდებიან და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენი ეროვნული ცხოვრება მოკლე მომავალში სხვა სფეროებშიაც წარმოშობს ამგვარ უმაღლეს ეროვნულ კავშირებს.

თბილისში ჩამოსული ყველა მოღვაწე თავის დაწესებულების სულს ჩამოიტანს. მისი ღირსება-ნაკლულევანობა მას მუდამ თვალისწინ ექნება. მაგრამ სხვებთან შეხვედრა მის ინტერესების ფარგლებსაც გააფართოებს, აამაღლებს ეროვნულ ინტერესებამდის. რაც პატიოსან მოღვაწისათვის კეთილ და წმინდა საქმედ იყო მიჩნეული, საქმედ სასარგებლოდ, გამოსადეგათ, ვიწრო სპეციალი თვალსაზრისით, ამ უმაღლესი ეროვნული ლტოლვილების სიმაღლიდან იქნება მას უმნიშვნელოდ, უსარგებლოდ და შეიძლება ბოროტად თუ მავნებლადაც მოეჩვენოს.

ამ გაფართოვებული, ეროვნული თვალსაზრისით ჩვენი ქვეყნის კულტურული საქმის მუშაკები ადვილათ შეამჩნევენ ჩვენი ერის კულტურული განვითარების მრავალს საჭიროებებს და კულტურულ საქმიანობის ერთს უდიდეს ნაკლს—ცხოვრების სინამდვილესთან დაშორებას, დაცილებას. ჩვენი სხვა და სხვა კულტურული საქმე, განსაკუთრებით სწავლა-განათლება უკვე აღარ ემსახურება ჩვენი ერის რეალ საჭიროებებს. ის არ აკმაყოფილებს მის მოთხოვნილებებს და ჩვენი კულტურული საქმიანობა ღებულობს რაღაც საკუთარს, ცხოვრებიდან თითქოს დამოუკიდებელს და განყენებულ სახეს. გახელოვნებული, ცხოვრების საჭიროებეის დაშორებული მუშაობა კი, რაც უნდა კულტურული იყოს ის თავის თავად, უსარგებლოა ეროვნული ცხოვრებისთვის. რაც უნდა გამდიდრდეს საზოგადოება სხვა და სხვა ცნობებით, მისთვის ეს უნაყოფო იქმნება, თუ შეძენილი სწავლა არ გამონადგება მას არსებობისთვის ბრძოლაში. რად უნდა ერს ისეთი კულტურა, რომელიც არ აღჭურავს მას ძლიერი იარაღით თავისი ქონებრივი და გონებრივი კეთილდღეობის შესაქმნელად; რომელიც არასწავლის მას, როგორ მოიპოვოს პური არსებობისა და რა გზით დაიცვას თავისი ეროვნული არსებობა.

დაწინაურებულ ქვეყნებში სწავლა-განათლების საქმე ცხოვრების რეალ მოთხოვნილებებს ემსახურება. ავრცელებენ უპირველეს ყოვლისა ტეხნიკურ, პროფესიულ და სამეურნეო სწავლა-განათლებას. ამით ხალხი ახალი, უფრო მკვეთრი იარაღით აღიჭურვება არსებობისთვის ბრძოლაში და მეურნეობის და ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებით ქონებრივად მოღონიერებული ერი ჰწრთვნის და ამდიდრებს თავის სულიერ ცხოვრებას. ჩვენში თითქმის სრულებით არ არსებობს ასეთი სწავლა-განათლება. ტეხნიკური და სამეურნეო ცოდნა ჩვენი საზოგადოებისთვის უცნობი ხილია და ჩვენი ეროვნული ცხოვრების ამ უდიდესი ნაკლის გასწორებას უნდა შეუდგეს ჩვენი საზოგადოება და უპირველეს ყოვლისა ეხლა დაარსებული ცენტრალი კულტურული საზოგადოება. პრაქტიკული სწავლა-განათლების საკითხი დიდი ხანია მორიგ და საჭირ-ბოროტო კითხვად გარდიქცა ჩვენს ცხოვრებაში და თუ ქართველმა ერმა აქამომდე მისი საქმედ ქცევა ვერ მოახერხა, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ კულტურულ ცენტრალი საზოგადოების დაარსებით მომავალში ჩვენი ქვეყნის ყოველგვარი კულტურული საქმიანობა ღირსეულს და საიმედო მფარველს და მეთაურს მოიპოვებს.

## ერს საქმე სწყურიან

ჩვენ საზოგადოებას საქმე სწყურიან, ცოცხალი საქმე. დიდხანს ემსახურება ის ოცნებებს და უნიადაგო მისწრაფებებს. მას უნდოდა მწარე სინამდვილის გარდაქმნა. უკეთესი ცხოვრებით შეცვლა. ეხლა ჩვენი ერი უკვე მიხვდა, რომ საზოგადოებრივი ცხოვრება მხოლოთ საქმით გარდაიქმნება. არა სიტყვებით, არა ოცნებებით და სურ- [illegible] შრომით და მხოლოდ შრომით. მიხვდა ის ამას და ახალს გზაზედ გამოდის, ჩუმი და მყუდრო მოქმედების გზაზედ. აი, სად სჭირია მას დახმარება, მეთაურობა, ხელმძღვანელობა. წარშლილია, წარხოცილია ჩვენს ცხოვრებაში ეს რეალი საქმის, შეკავშირებული შრომის გზა. ბილიკიც არ დარჩენილა. ოცნებათა ბურუსით დავფარეთ ის ჩვენ და ეხლა თვით ხალხი ჩუმად, ინსტიქტიურად ეძებს ამ გზას, თითქო მივიწყებულ გზას რეალი საქმიანობისა. წინეთ ჩვენი ერის დიდი ნაწილი მკვიდრად იდგა ამ საუკუნეთა მსვლელობაში განმტკიცებულ ასპარეზზედ. მშვიდობიან შრომას, შავ მუშაობას ეწეოდა ის უპირველეს ყოვლისა და მით ეროვნულ სხეულს ქონებრივად უზრუნველჰყოფდა. ამის შემდგომ იგი თავის სულიერ ცხოვრებას ამდიდრებდა, ამშვენიერებდა. და როცა ქართველი ერი ქონებრივად მოღონიერებული იყო, კულტურული მუშაობა მისი, ეროვნული სულის წრთვნა და გაძლიერებაც უფრო თვალსაჩინოდ სწარმოებდა. როდესაც ერი ამ ბუნებრივ გზას ასცილდა, ქონებრივი დოვლათის შექმნის საქმე შეუფერხდა, აერია, სულიერად, დასუსტების და დაუძლურების გზას დაადგა და თუ ამ მოვლენამ კიდევ დიდხანს გასტანა, ის მის ეროვნულ არსებობას საფრთხეს განუმზადებს.

მაგრამ ერი ცოცხალი არსია. უძლურებას და ავადმყოფობას რომ განიცდის, ის სიცოცხლისკენ ისწრაფვის, სენს და უძლურებას ებრძვის, ეწინააღმდეგება. თუ უსაფუძვლო გატაცებამ, ოცნებით და სხვასი იმედით ცხოვრებამ დაასუსტა ის, ეხლა უკვე ამას ხედავს და ეძებს სხვა გზას და სხვა იარაღს, ნაცადს და საიმედოს. ეკონომიური საქმიანობა, ერის ქონებრივი გაძლიერება ნაცადი და საიმედო იარაღია ეროვნულ ცხოვრების განსამტკიცებლად. მას ყველა სხვა ერები და ჩვენი ერიც წარსულში ეროვნულ ძლიერებამდი, ეროვნულ დიდებამდის მიუყვანია. აი, ეს ეკონომიური საქმიანობა, შეთანხმებული მუშაობა ერის ქონებრივი კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად არის ახალი გზა და თან ძველი მაგრამ ჩვენგან მივიწყებული, რომელზედაც ადგება ჩვენი ხალხი. ქართველი ერის ეკონომიური ძალების ამოქმედება, ამოძრავება უკვე [illegible] და ჩვენც მას უნდა [illegible]. სამეურნეო საზოგადოების [illegible] საქართველოს სხვა და სხვა კუთხეში, სამეურნეო ყრილობის მოწყობის ცდა, ვაჭარ-მრეწველთა ამოქმედება, ახალი ბანკების დაარსება და სხ.—ყველა ეს იმის მაჩვენებელია, თუ რა სურვილები და ლტოლვილებანი ჩაესახა გულში ჩვენს ერს, თავისთავად, ბუნებრივად. ის ინსტიქტიურად სცდილობს თავის ეკონომიურ ურთიერთობის განმტკიცებას და ეს მოვლენა იმედის მომგვრელია, სასიხარულოა. გზის გაკაფვა, სამოქმედო ასპარეზის გაწმენდა, რომ ქართველმა თავისუფლად აამოქმედოს თავისი ეკონომიური ძალები, არა ხელი შეშლა ფრაზეოლოგიით და უიმედობის საწაძლავით, არამედ შეძლების დაგვარად ხელის შეწყობა, დახმარება, და დღეს უძლურ ერს, ცოცხალი, რეალი საქმით ამოძრავებულს და ამოქმედებულს წინ ვეღარა დაუდგება რა. ის გასჭედს თავის ბედს, როგორც მრავალჯერ გაუჭედია.

მაგრამ ამოძრავებულ სუსტ ძალებს ხელმძღვანელობა, მეთაურობა უნდა. მეურნეთა ცალკე, ვაჭარ-მრეწველთა კიდევ ცალკე. ჩვენ ჯერ ხელის შემშლელებს გარდა ვერ ვხედავთ ვინმეს. ის პირები, რომელთაც ასეთი საქმის გაძღოლა შეუძლიანთ ჩვენში კი უნდა მოიპოვებოდნენ. საჭიროა ორგანიზატორები, ცოდნით და შრომის სურვილით შეიარაღებული მეთაურები. საჭიროა ყოველგან, ყოველს საქმიანობის დარგებში. ნუ თუ ასეთები ვერ შეიგნებენ მომენტის მოთხოვნილებას, თავის მოვალეობას ერის წინაშე და ჩრდილში დარჩენას განაგრძობენ? ქართველი ერი რომ დაირაზმოს, ვარსკვლავების ციდან ჩამოსაკრებად გაემზადოს, ამ საქმისთვის მას მეთაურები და წინამძღოლები არ შემოაკლდება. და როცა ის მიიღწევს, რომ შავი ჯაფის ბრუნვით ეროვნული განვითარების საფუძველი, ერის ქონებრივი კეთილდღეობა განამტკიცოს. და მით ეროვნული აღორძინების საძირკველი ჩაჰყაროს, ნუ თუ ქართველ ხალხს მის მოწინავე, სწავლა-ცოდნით შეიარაღებულ წრეებში დამხმარენი და ხელმძღვანელნიარ აღმოუჩნდება?

ალი.

## დეპეშები

(პეტ. დეპ. სააგენ.)

კოპენჰაგენიდან იტყობინებიან: გერმანელებს დაუსრულებიათ ახალი გემების აგება და მოკლე ხანში გერმანეთის ფლოტი აქტიურ მოქმედებას დაიწყებსო.

—

ტრაპიზონის აღებას გერმანული პრესა დუმილით შეხვდა. ნეიტრალ სახელმწიფოების გაზეთები კი კავკასიის მხედრობის გამარჯვებას დიდ მნიშვნელობას აძლევენ.

—

„ბერლინერ ტაგებლატი“ სწერს: გრაფმა ცეპელინმა საუცხოვოთ დაასრულა ჰაერში და ზღვაში მომქმედ ფლოტების მუშაობის საქმე. ამას დაამტკიცებს ახლო მომავალიო.

—

რუსეთის ჯარის წინსვლით დაშინებულმა ოსმალეთის მთავრობამ რევოლიუციის დროს დატყვევებული სულთანი აბდულ-ჰამიდი ანგორიდან შუა ოსმალეთში გადაიყვანა.

—

ვერდენის მიდამოებში უკვე 60 დღეა ბრძოლაა. აქ გერმანელები თავგანწირვით იბრძვიან. ბრძოლაში ჩაბმული ჰყავთ 80 დივიზია.

—

ჩვენმა ჯარისკაცებმა დასავლეთ ასპარეზზე პლაკატებით აცნობეს გერმანელებს ტრაპიზონის აღება. მათ მოსწერეს—სიცრუე დაგვიგვიანდათ, პირველი აპრილი წავიდაო.

—

შვეიცარიული გაზეთი სწერს: ტრაპიზონის დაკარგვით დაშინებულმა ოსმალეთმა გერმანელებს მოსთხოვა—კავკასიის ასპარეზზე გასაგზავნად სამი კორპუსი ჯარი მოგვაშველეთ, თორემ რუსეთს სეპარატიული ზავით შევეკვრებითო.

ლ. ჯ.

—

(მოსკოვის საკ. კორესპოდენ.)

გამომცემელ ამხანაგობის „საქართველოს“ საქმეების გამო მოსკოვში ჩამოვიდა ამხანაგობის დამფუძნებელი წევრი პეტროგრადელი ნაფიცი ვექილი ჰიაბრიშვილი. ჰიაბრიშვილს საუბარი ჰქონდა ქართველ კოლონიის ცნობილ წარმომადგენლებთან, რომ-

ლებიც ახალ საქმეს დიდის თანაგრძნობით შეხვდნენ და ამხანაგობაში ჩაწერის სურვილი განაცხადეს.

გ. ვ.

(პეტრ. სააგენტოს დეპეშები).

**თოფის წამლის საწყობის აფეთქება.**

კრუალენსკში (საფრანგეთი) აფეთქდა თოფიწამლის საწყობი. დაიღუპა ოცი კაცი. რამდენიმე დაიჭრა.

**რუსების დესანტი.**

მარსელში რუსებმა დესანტი გადასხეს. მთელი საფრანგეთი აღტაცებაშია მოსული. პრესა აღფრთოვანებული. გენერალისიმუსი ჟოფრი ჯარებს ამხნევებს: გვეწვიენ მამაცზე მამაცი მებრძოლნიო!

**ინგლისის ასპარეზი.**

გერმანელებმა საარტილერიო სროლის შემდეგ იერიში მიიტანეს საფრანგეთში მდგარ ინგლისელთა წინააღმდეგ იპრის ხაზზე და პირველი ხაზი თხრილებისა ხელთ იგდეს.

# ახალი ამბავი

✦ **საქართველოს ეგზარხოსს** აღდგომას ნაშუადღევის 5 საათზე მიულოცა ქალაქის სამღვდელოებამ.

✦ **ანჩისხატობა.** აღდგომის მეორე დღეს ანჩისხატის ტაძრის დღეობამ დიდძალი მლოცველი მიიზიდა. მწირველი იყო გორის ეპისკოპოსი ანტონი. განიცადეზე სიტყვა წარმოსთქვა დეკ. ნ. თალაკვაძემ.

✦ **დღეს დიდუბის ტაძარში** მწირველია მისი უსამღვდელოესობა საქართველოს ეგზარხოსი პლატონი.

✦ **ორთაჭალის ხიდი** 1 კვირაზე მზად იქნება. ხიდს აკეთებს ინჟინერი ლ. ნ. დიასამიძე. ხიდის გაკეთება დაჯდა სულ მისასვლელ გზებით 7000 მანეთამდე.

✦ **სანოვაგის სიძვირე.** აღდგომის წინა დღეებში საარაკოდ გაძვირებული იყო თბილისში ყოველისფერი სანოვაგე. ბატკანი 8—16 მან. ფასობდა, გოჭი 6—12 მანეთი, ინდოური 6—16 მანეთი, ქათამი თითქმის სულ არ მოიპოვებოდა, აგრეთვე იშვიათი საშოვნელი იყო ახალი ყველი და კარაქი. მიუხედავად ასეთი სიძვირისა, ხალხს ცოტაოდენი მხიარულება მაინც ეტყობოდა დღესასწაულებზე.

✦ **ქართული წარმოდგენა.** ქართველ მსახიობთა ერთმა ჯგუფმა 11 აპრილს წარმოდგენა გამართა გორში. წარმოდგენას ცოტა ხალხი დაესწრო, წარმოდგენა დეფიციტით დამთავრებულა.

✦ **კვერცხის გაიაფება.** პარასკევს და შაბათს კვერცხის შოვნა ძნელი იყო თბილისში, თუკი სადმე იპოვნიდნენ, 100 კვერცხში დიდი სიამოვნებით 6 მანეთს აძლევდნენ. შაბათ საღამოს საიდგანღაც ათი-ათასობით გაჩნდა კვერცხი და ხელად 6-დან 4 მანეთამდე დავარდა ფასი. ეხლა პირიქით იხვეწებოდნენ მეკვერცხეები, არა ჩემგან იყიდეთ, არა ჩემგანო.

# კულტურულ საზოგადოებათა კავშირი

კულტურულ განმანათლებელ საზოგადოებათა კავშირის საზოგადო კრება გუშინ ახალ კლუბის დარბაზში დაიწყო, კრება ნაშუადღევის 12 ნახევარ საათზე გახსნა გ. ნ. ყაზბეგმა და მიესალმა კრებას მოკლე სიტყვით. შემდეგ ე. ს. თაყაიშვილმა განუმარტა კრებას მიზანი კავშირისა. ბ-ნ ყაზბეგის წინადადებით კრებამ სამძიმრის დეპეშა გაუგზავნა განსვენებულ მ. მ. კოვალევსკის ოჯახობას. კრებამვე ბ-ნ გ. მ. ლასხიშვილის წინადადებით დაადგინა: გაეგზავნოს დეპეშა განსვენებულ დეპუტატ ობნინსკის ოჯახობას. აგრეთვე ფეხზე ადგომით პატივი სცა კრებამ „პორტიუგალზე" დაღუპულების ხსოვნას. შემდეგ კრებამ თავმჯდომარედ აირჩია ერთხმად გ. ნ. ყაზბეგი ხოლო მდივნად ვ. ბურჯანაძე, შემდეგ მოხსენდა კრებას სია იმ დაწესებულებათა რომელნიც შედიან კავშირში და ანგარიში ამ კავშირისა დღიდან დაარსებისა. ანგარიშის მოსმენის შემდეგ კრებაზე აღიძრა საკითხი წესდების მეხუთე მუხლისდა მიხედვით თუ ვის შეუძლიან კავშირში შესვლა. გამოითქვა სურვილი, რომ კავშირში უნდა მიღებულ იქმნენ ყველა საკრედიტო-საკოოპერაციო დაწესებულებანი. ამ საკითხმა ხანგრძლივი კამათი გამოიწვია. კამათში მონაწილეობა მიიღეს ევგ. გეგეჭკორმა, ბ. ალექსი-მესხიშვილმა, გ. თ. ჟორდანიამ, ბ. ლაღიძემ და სხვ. კრების დაწვრილებითი ანგარიშს შემდეგ ნომერში მოვიყვანთ.

# ტანჯული გვირგვინოსანი

(გაგრძელება. იხ. „საქართ." № 80)

IV

დიდხანს არ გაგრძელებულა გენერალ ციციანოვის სიხარული. ქედმოხრილი სოლომონი მხოლოდ გარეგნულად აცხადებდა მორჩილებას. არ იქნა, ვერაფერმა ვერ წაალდინა და ვერ მოჰხიბლა მისი მეფური სიამაყე, თავისუფლებისადმი მისწრაფება. თვით იმპერატორ ალექსანდრეს მიერ წყალობის ნიშნად ბოძებული ალექსანდრე ნეველის ორდენი პირზე ღიმილსა ჰგვრიდა, მაშინ როდესაც სხვა თავადნი და მთავარნი მის გულისთვის ჰყიდდნენ ყოველისფერს, მამულს, დედულს, თვით სინიდისსა და პატიოსნებას.

თქმა არ უნდა, შეერთების ფიქტივობას მალე ფარდა აეხდებოდა. კომედია დამთავრდა. ერთს მშვენიერს დღეს ვხედავთ გენერალი ორბელიანი რუსის ჯარებით მოემართება მის საწინააღმდეგოდ. სოლომონს ჯერ კიდევ სასურველად ვერ მოემაგრებინა წელი, ამიტომ გაქცევა არჩია. დროებით მთებს შეაფარა თავი. აქედან აჯანყებს თავის ქვეშევრდომთ. ამასთანავე სპარსეთისკენ და ოსმალეთისკენ სწრაფმსმობოლებს ჰგზავნის, რათა ესენი დაჰხმარებოდნენ რუსთა გარეკვაში. ამასობაში კი ამაოდ რჩებოდა ორბელიანის რჩევანი თუ ციციანოვის მოადგილე გენერალ ტორმასოვის დაპირებანი, რომ სოლომონ ქუთაისს დაბრუნებულიყო და ბედს ნახავდა. „ხომ ჰხედავ, ქართლმა და კახეთმა ქედი მოიხარა,—ეუბნებოდა ორბელიანი ტორმასოვის პირით,—ჩვენ აღარ შეგვიძლიან ჩვენი თავის გამგებლობა... დავუძლურდით... სამეგრელოც მორჩილებას აცხადებს, გურიაც... ერთი შენ რჩები შეურიგებელი"... სოლომონ გაახსენებდა რუსთა შემოსვლის დროს დაპირებათ, სანუკვარ აღთქმათ, მასთან აღთქმათა გაცრუებას, რუსთა ინტრიგებს, რის წყალობითაც მათ ხელოვნურად გააჩაღეს ქართველთა ტომების შუა შური და მტრობა, რის გამოც დავძაბუნდითო. „ჩამოგვაშორეთ, თვითონ ეგენი გავიდნენ ჩვენი მიწა წყლიდან და მე გაჩვენებთ, თუ როგორ შეგვეძლება ჩვენი თავის მოვლა და პატრონობა!"

ეს უკვე საკმარისი იყო დიპლომატიურ მოლაპარაკების დასასრულებლად. ორბელიანმა ისარი გამოისროლა. ქართველს ქართველის სისხლი უნდა დაეღვარა. ამ გარემოებამ შეაწუხა სოლომონ, მაგრამ ბედს შეურიგდა. საბრძოლველად იშიშვლა მახვილი და თან შიკრიკები აფრინა უკმაყოფილო ქართლ-კახეთის კუთხეებში, თვითონ კი საკუთარ ფეხით მიმოივლო მთელი იმერეთი და ყოველგან ერთსა და იმავეს ასმენდა იერიქონის საყვირით: „შეიგნეთ მდგომარეობის სიმწვავე რაც ახალ მეპატრონეთაგან გველის. ან ეხლა და ან არასოდეს!"

მეფის ცეცხლებრივი სიტყვები მსმენელთა გულში არწივის სითამამეს აფრთოვანებდა. მან მშვენივრად იცოდა ხალხის პსიხიკა, იცნობდა მტკივნეულ გულის ყოველი ძაფი და იმიტომაც ასე საოცრად ჯადოსნობდა. ყოველი მისი სიტყვა ტალკვესი იყო, რომ მსმენელი ჰიპნოზით შეეპყრო. იმერეთის ერთს ხეობაში ათასობით მოსულს ხალხს და შეიარაღებულს თავად-აზნაურობას, როდესაც მან მიჰმართა მტკიცე, თუმცა ოდნავი მღელვარებით: „გსურთ თუ არა თქვენს მეფედ დავრჩე და თუ გსურთ, მოითმენთ თუ არა იმ შევიწროებას და შეურაცხყოფას, რასაც რუსები გვაყენებენ",—ამოდენა ხალხში არც ერთი კაცი არ გამოჩნდა, რომელსაც წინააღმდეგ ხმა ამოეღოს: აქვსი ათასი შეიარაღებული კაცი, როგორც ერთი ადამიანი, ფიცათ მას მხარში ამოუდგა და ქუდის სროლით და ხმლების წკრიალით მოითხოვა რუსთა წინააღმდეგ გალაშქრება.

არ უნდა დავივიწყოთ იმ დროს ექვსი ათასი კაცი მეტად დიდს ძალას წარმოადგენდა. მარტო ის ფაქტი, რომ ორ-ორი პოლკით კმაყოფილდებოდნენ რუსის გენერლები იმ დროისთვის აუღებელ ციხე-ქალაქთა და ქვეყნების დასაპყრობად, აშკარად ჰმოწმობს, რომ სოლომონს საგრძნობი ძალა ამოსდგომია მხარს. იმედ მოცემული მეფე ახლა ახალ ციხისკენ გაემართა, სადაც ამ დროს რუსეთის დაუმონებელი მტერი ბატონიშვილი ალექსანდრე დაჰქროლავდა შურის საძიებელ ტალკვესის საშოვნელად. აქაც ზურგი მოიმაგრა, კაცები აფრინა ახალციხის ფაშასთან შენი ჯარები მომახმარეო, ხოლო მისი მარჯვენა ხელი ქაიხოსრო წერეთელი და სეხნია წულუკიძე აჯანყების ცეცხლს ანთებდნენ მთელს იმერეთში.

სოლომონის საწადელს დახანება არ მოჰხდომია. ამბოხებამ იფეთქა. 5 ივლისს, 1809 წელს აჯანყებულებმა კუდით ქვა ასროლინეს კლდეუნში მდგარს დონის ყაზახებს. ეს იყო და ეს. სადაც კი მოასწრებდნენ რუსის მხედრობას, ყოველგან რისხვით ატყდებოდნენ და ზურგზე ბოლს ადენდნენ. ამ გარემოებამ ფრიად შეაფიქრიანა გენ. ტორმასოვი. ნახა, ძალით დამორჩილება ძნელი და სახიფათო გზა იყო. ისევ დიპლომატიურს ხრიკებს მიჰმართა. მოციქულებით მოლაპარაკება დაიწყო, მაგრამ სოლომონმა მკაცრი პასუხით გამოისტუმრა. სხვათა შორის ჩვენამდე მოაღწია წერილობით იმ პასუხმა, სადაც მთელი სიაა მოყვანილი, თუ რუსებმა რა მოიმოქმედეს აქ ჩამოსვლით. ეს პროტესტი მარტო სოლომონის გულისწყრომა არ გახლავთ, იგი დაკავშირებულია იმერეთისა და მასთან ერთად მთელს საქართველოს კვნესასთან ერთად, ეს იმ კვნესასთან ერთად, რომელიც „აქტების" ყოველ სტრიქონიდან მახვილად ისმის. „სად არს სამღლობელო ჩემი ლეჩხუმი?"—ეკითხება სოლომონ და შემდეგ ათს პუნქტს მჭევრელი ლექსით იწყებს: „უკეთუ შეასრულეთ ეს..." ან და „უკეთუ დაიცვეს წმინდად"—ესა და ეს..." და ბოლოს ეკითხება: „მიჰხედე ზემოაღწერილთა და და მიზრძნე, სად არის დაცვა წმინდად და უცვლელად პირობისა და შეკრულობისა უწინარე თქვენსა მყოფისა?" რუსის მხედრობა პატივით მივიდეთ, თქვენ კი ლანძღვა-გინებით და მძულვარებით გვიპასუხეთო.

ტორმასოვმა უკიდურეს ზომებს მიჰმართა. ბრძოლა დაიწყო. ბევრი მარცხი მიაყენა სოლომონმა რუსის მხედრობას. ვინ იცის, იქნებ კიდეც გამარჯვებული დარჩენილიყო, რომ მარტო რუსებთან ჰქონოდა საქმე. მაგრამ... ჩვენი ისტორია ხომ სულ ასეთია, რომ ქართველივე ანგრევს ქართველის ნაშენს. ასევე მოხდა მაშინაც. სოლომონ დამარცხდა ქართველთა მიერვე. საკმარისია გავიხსენოთ მის დასაჭერად წამოსული ორბელიანის გარდა სამეგრელოს ორი რაზმი ლევან დადიანის წინამძღოლობით, გურულთა მილიცია მამია გურიელის მეთაურობით. ამავე ლაშქრობაში მონაწილეობას იღებდნენ ქართლ-კახელები, მაიორ კალატოზიშვილისა, შტაბს კაპიტან სალინაშვილის მეთაურობით და მრავალი სხვა. აი, ამ შეერთებულმა ძალამ შეჰკეტა სოლომონ ხონის ღელეში, სახელდობრ ვარციხეში. ტანჯულს მეფეს ერთგულნი ყმანი ნელ-ნელ ჰშორდებოდნენ. გაიმართა კვლავ დიპლომატიური მოლაპარაკება. წყალობას ჰპირდებოდნენ, პატიებას. ერთხანად სოლომონ დასთანხმდა კიდეც, მაგრამ ოდნავ ფიქრში წასვლის შემდეგ გველ-ნაკბენსავით წამოიჭრა, უზომოდ შეურაცხყოფილად იგრძნო თავი და დესპანთ აღელვებული შეეკითხა: „რაო, რაო? რას მირჩევთ? საცხოვრებლად წავიდე იქ, სადაც რუსის ჯარი სდგას? შეუძლებელია, შეუძლებელი!"

მაგრამ „შეუძლებელი" შესაძლებელი გაჰხადეს! თვით ქართველებმავე, მისი ძალები შეასუსტეს. ყველაზე თილისმურ გავლენას წითელი ჯვრები და ორდენები ახდენდა. რუსის მთავრობამ მშვენივრად შეიგნო ეს და ამიტომაც თვით სოლომონის ერთგულ ყმათა შორის უხვად დაუწყო დარიგება. ბრწყინვალე წოდება ამ დროს სირაქლემას დაემზგავსა, რომელსაც ყოველი ბჭყვრიალა თვალსა სჭრის. სოლომონ დაობლდა. ერთგულ ყმათა შორის ერთად ერთი სოლომონ ლეონიძე შერჩა და ბატონიშვილი კონსტანტინე. სხვაფრივ იგი ეული იყო მემუნვარებისა, უზომო ეჭვებისა და ერთი მახვილის ანაბარად. იგი საბოლოოდ შეურიგდა იმ აზრს, რომ გაბრძოლება ამაოდ ჩაუვლიდა. და აი, როდესაც რუბიკოს გადასალახავად კენჭის ყრაზე მიდგა საქმე, წინააღმდეგ თავის სურვილებისა მან ხელი ჩაიქნია და 12 მარტს, 1810 წელს დაჰნებდა რუსთა მხედრობის წინამძღოლს პოლკოვნიკ სიმონოვიჩს, რომელმაც პატიოსანი სიტყვა მისცა, არ დამატყვევებთ და მეფურს ღირსებას ხელუხლებელს დაგიტოვებთო. სოლომონმა ქედი დაჰხარა. იმერეთის მზემ ბუნებრივ გზას გადაუხვია და ჩრდილოეთისკენ დაიწყო ჩასვენება...

**დ. კასრაძე.**

(დასასრული იქნება)

# ტრაპიზონი

(ისტორიული მიმოხილვა)

ტრაპიზონი გაშენებულია სიურმენის მთებზე. როგორც შავი ზღვის ნაპირებზე გაშენებული სხვა ქალაქები, ესეც წარმტაცი სანახაობისაა. გარეგნულად ამფითეატრის შეხედულობა აქვს. ძველად ამ ქალაქს ბერძნები **ტრაპეზუსს** უწოდებდნენ. ასეთი სახელწოდება ბერძნებმა იმიტომ მისცეს, რომ ლამაზი ქალაქის მდებარეობა ფრიად წააგავს ტრაპეზს. მაღალს კლდეებიდან ამაყად გამოიყურება ძველის ძველი სასახლე იმპერატორებისა. ეს სასახლე უფლობს მთელს ამ ძველს უბანს, სადაც უხვადაა გაბნეული ძველის ძველ დარბაზების ნანგრევები და ციხე-კოშკთა ნაშთნი. სხვა დანარჩენ შენობათაგან საყურადღებოა ძველი ნავთსადგურის ნაშთნი, რომელიც იმპერატორ ანდრიანის მიერ იქმნა აშენებული ჯერ კიდევ მეორე საუკუნეში.

ტრაპიზონში ბერძენთა მრავალი ეკლესიაა, იუსტინიანე დიდის დროისა. განსაკუთრებით უთითებენ ერთს ეკლესიაზე, რომელიც თვითონ იუსტინემ ააშენაო. ეს ეკლესია შემდეგ მეჩეთად გადაუკეთებიათ. საყურადღებოა აგრეთვე იმპერატორ მანუელის აგებული ტაძარი (XIII საუკუნეში)

ტრაპიზონი ქალდეთა ოლქების ცენტრად ითვლებოდა. იგი ლაზისტანის უკანასკნელი ბურჯია, რომელიც საზღვრავს ანატოლიიდან. აქედან ლაზისტანი ვიწრო ყელით გამოსწევს ზღვისკენ და კავკასიონის კალთებთან ჩერდება. ტრაპიზონის მახლობლადვე ამართულია ოფის მთა. ყველა ეს გარემოება ამ ქალაქს უძველეს დროიდანვე მიუდგომელ ციხედა ჰხდიდა. იმპერატორ ვალერიანის დროს (მესამე საუკუნოები) სკვითებმა პითიონის აღების შემდეგ (პითიონი დღევანდელი ფოთი გახლავთ) აქეთ გამოილაშქრეს, აქ მათ დაჰხვდათ ორი წყება კედლებისა. ქალაქს რომელთა გარნიზონი იცავდა. იქნებ ეს ქალაქი ვერც ეხლა აეღოთ, რომ რომელნი ზვიადად არ მოქცეულიყვნენ და მეტის მეტად დიდი წარმოდგენისა არ ყოფილიყვნენ თავიანთ თავზე. მათ არაფრად ჩააგდეს მოსული მტერი. ქალაქის დაცვაზე ყურიც არ გაუბერტყნიათ. თამაშით, ბურთაობით და სათეატრო გასართობებით გატაცებული იყვნენ. ამით ისარგებლეს სკვითებმა. ღამით აცოცდნენ კედლებზე, შეცვივდნენ ქალაქში და უეცრივი შეტევით ხელთ იგდეს ქალაქი. გარნიზონი გაიქცა. მდიდარი ქალაქი გაძარცულ იქმნა. ეს ეპიზოდი ერთი უძველესი ამბავთაგანი გახლავთ ტრაპიზონის დაცვისა სკვითებისაგან.

ძველს ქალაქს ბევრი, ძალიან ბევრი რამ ახსოვს. როგორც იუსტინიანეს ხელისას, აქვე ნახავთ გენუელთა ეპოქის შენობებს. დღევანდელს ტრაპიზონში არა ერთი კულტურული დაწესებულება მოიპოვება. 82 სკოლაა, 5 [illegible] ქრისტიანთა ეკლესია, 18 მეჩეთი. გარეგნულ სილამაზის წინააღმდეგ შიგნით ვერ არის ქალაქი მოწყობილი, ქუჩები ვიწროა, ჭუჭყიანი, ქვაფენილს იშვიათად ნახავთ.

პირადად ქართველთათვის ეს ქალაქი გარდა პოეტურ წარსულისას მოგვითხრობს ჩვენს გმირთა-გმირ ტანჯულ გვირგვინოსან მეფე სოლომონის ლეგენდარულ ცხოვრებას, რომელმაც ძვლები სამშობლოდან ლტოლვის შემდეგ აქ ჩაჰყარა 1815 წელს.

№.

# „საერობო თათბირი"

„აჩიკ-სოზ"-ი ამ სათაურით სწერს: კავკასიის ერების დიდი ხნის ნანატრი მოთხოვნილებათაგან კავკასიის საერობო თვითმართველობა უკვე განხორციელების გზაზე დამდგარა.

„აჩიკ-სოზ"-ის ანბებში მოყვანილ ცნობებში აღნიშნული იყო, რომ საერობო კანონ-პროექტის შესამუშავებლად თათბირში, მაჰმადიანები საგრძნობლად განსაკუთრებულ პირობებში დარჩნენ. ყველას მოეხსენება, რომ ეს თათბირი შეეხება ხალხისა და მიწა-წყლის საკითხს. ყველამ იცის, რომ სხვა და სხვა ერებსა სხვა და სხვა შეხედულება და მოთხოვნილება აქვს. ამის მიხედვით თათბირში მონაწილეობის მიმღებნი, თუნდაც სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებათა წარმომადგენლებიც იყვნენ, მაინც რა კი ამა თუ იმ ერთანებას ეკუთვნიან, თავის აზრსა და შეხედულებას თავისი წრის მოთხოვნილებისამებრ გამოსთქვამენ.

ვინ უნდა მიიღოს საერობო თათბირში მონაწილეობა?

როგორც მეფის ნაცვალის ინსტრუქციიდანა სჩანს, მონაწილეობას მიიღებენ: გუბერნატორები, ქალაქის უფროსები, საოლქო აგრონომები, სახაზინო პალატის გამგეები, ქალაქის მოურავები, სამეურნეო და სამრეწველო დაწესებულებათა წარმომადგენლები და ქალაქ ბაქოსა და თბილისის საბჭოს თითო ხმოსანი.

ასე თავის თავად ცხადია, რომ ამ თითბირში მაჰმადიანებიდან მხოლოდ ერთი პირი თუ მიიღებს მონაწილეობას, ისიც ვანჯის ქალაქის მოურავი ბ-ნი ხასმემედოვი. სხვა დაწესებულებათაგან არც ერთი მაჰმადიანი წარმომადგენელის გაგზავნა არ შეიძლება. ბაქოს ქალაქის საბჭოს დადგენილებით ამ თათბირში გასაგზავნად ბ-ნი მემედ-ჰასან—ჰაჯიევი აურჩევიათ.

მერე...

მერე მაინც ცხადია: საგუბერნიო თათბირში როგორც ვიცით მაჰმადიანები არ შედიან. სასოფლო სამეურნეო საზოგადოების და თბილისის საბჭოში მაჰმადიანები რომ ვერ გავლენ, ცხადია, ამ ადგილებში მათი ხმა და კვალი არა სჩანს. მხოლოდ სავაჭრო სამრეწველო კრებულში ცოტაოდენი იმედია. აქ ორი-სამი მაჰმადიანი მაინც მოიპოვება. მაგრამ აქაც მაჰმადიანებს არჩევა მაჰმადიანების ნებასურვილებზე კი არა, სხვების დარიგებაზე და ყურადღების დამსახურებაზეა დამოკიდებული.

ასეთ მდგომარეობაში რა უნდა გავაკეთოთ? რა საშუალებას უნდა მივმართოდ, რომ საერობო თათბირში სამაჰმადიანო გუბერნიებისა და მაჰმადიანთა საზოგადოებას საჭირო და აუცილებელ მოთხოვნილებათა შესაფერი წარმომადგენელი გვყავდეს.

შუამდგომლობა უნდა აღვძრათ მეფის ნაცვლის წინაშე, რომ თათბირში მონაწილეობის მისაღებად, ბაქოსა და განჯის გუბერნიებიდან, სადაც მცხოვრებლების უმრავლესობას მაჰმადიანები წარმოადგენენ. რწმუნებული აგვარჩევინონ.

კავკასიის მაჰმადიანობის დიდი ნაწილი ამ ორ გუბერნიაშია. მათ საკუთარი მოთხოვნილებაცა აქვთ. საერობო თვითმართველობის კანონ-პროექტებისათვის კავკასიის სხვა და სხვა ერთა სოციალური ცხოვრება თუ ჯეროვანი გულისყური მიექცა, ეს ორი გუბერნია, კავკასიის თურქების უმრავლესობის შემადგენელ მხარეებად უნდა ჩავთვალოთ.

ამის მიხედვით შესამუშავებელი და სახელმწიფო სათათბიროში, წარსადგენი საერობო თვითმართველობის კანონ-პროექტის შედგენის დროს, საჭიროა განჯის ქალაქის თავისა და ბაქოს ქალაქის ხმოსნის გარდა ამ ორი გუბერნიის წარმომადგენლებსაც დაესწროს. კავკასიის ერთა შორის კეთილი განწყობილების დამყარებისათვის საჭირო ძალთა გათანასწორება.

ჩვენ გვწამს, რომ ამ საქმის თაობაზე ბაქოსა და განჯის გუბერნიის მაჰმადიანები თუ შუამდგომლობას აღძრავენ, მათი თხოვნა უნაყოფოდ არ ჩაივლის, რადგანაც საქმეცა და სარგებლობაც ამას მოითხოვს.

## ძველი წიგნაკი

ჩვენი ძველი ქვეყნის ცხოვრების პირობებისა და მისი ლიტერატურული ვითარების შესასწავლი ნაშთი ჩვენთვის დიდ ღირებულებას შეადგენს, სწორედ ამისათვის, ყოველივე ამ გვარს, ქვის ნატეხსაც კი, საისტორიო-საეთნოგრაფიო საზ. სალაროში სათუთად ინახავს. ეს გარემოება მაიძულებს, პატივცემულ რედაქციას ხსენებულ საზოგად. გადასაცემად წარმოვუდგინო ძველი ხელთნაწერი წიგნაკი, რომელიც ჩვეულებრივი რვეულის ფორმატისაა და იწყება ასეთის სიტყვებით: **„კაცი ვინმე იყო სტამბოლის ქალაქსა შიგა მქონებელი უანგარიშო ვერცხლისა და მარგალიტისა“...** და სხვა. თუ არა ვსცდები, ეს უნდა იყვეს **„ალექსიანი“**, რომელიც, როგორც ნაშთი, ყოვლად საინტერესოა. აღნიშნული ხელთნაწერი ვიპოვნე ს. სამებაში (გურია) განსვენებულ მართა კობალაძის ქაღალდებში. წიგნაკის ფურცლები ამტკიცებს, რომ მრავალი საუკუნის წინ არის დაწერილი და, ჩვენი ძველი არსებობის ძვირფას ნიმუშთაგანია.

**მიხ. ხერხეულიძე.**

## წერილი თელავიდან

10 აპრილს საქველმოქმედო საზოგადოებამ გახსნა საჩაიე „ძმური ნუგეში“. საჩაიეს დარბაზს სხვათა შორის ამშვენებს მხატვას ს. ერისთავის ესკიზები. განსაკუთრებით საყურადღებოა ესკიზი კრწანისის ველი, რომელიც მაყურებელზედ დიდ შთაბეჭდილებას სტოვებს. საჩაიეს კურთხვას ყოვლად სამღვდელო პიროს ალავერდელიც დაესწრო, რომელმაც პარაკლისის შემდეგ საზოგადოებას მიულოცა ამ დაწესებულების გახსნა და უსურვა წარმატება. თავის მხრივ ყოვლად სამღვდელომ გადასცა საზოგადოებას ორი თუმანი. აღსანიშნავია რომ საჩაიეს გახსნას თელავის ქართველობა დიდის თანაგრძნობით შეხვდა. შემომწირველნიც უხვად აღმოჩნდნენ, რომელთა სია შემდეგ იქნება გამოცხადებული. იმედია თელაველები თავის თანაგრძნობას შემდეგაც არ მოაკლებენ ამ ნორჩ და ფრიად საჭირო საქმეს, რითაც საშუალებას მისცემენ საქველმოქმედო საზოგადოების ადგილობრივ განყოფილებას უფრო გააფართოვოს თავის მუშაობა სოფლად.

— 11 აპრილს თელავიდგან თბილისში ჩამოვიდა ადგილობრივ გიმნაზიელთა ექსკურსია მასწავლებელ ს. კლიმიაშვილის ხელმძღვანელობით. ექსკურსია დაათვალიერებს თბილისის და მცხეთის თვალ-საჩინო ადგილებს.

## დაბა-სოფლები

**ს. ფშაველი.** (თელავის მაზრა) წარსული წლის ნოემბრიდან აქ წვრილი კრედიტის ამხანაგობა მუშაობს—ამავე ამხანაგობის დახმარებით აქ ორჯელ მოვიდა და დარიგდა ხორბალი 1600 ფუთი—რამაც გაჭირვებულ მდგომარეობიდან გამოიყვანა ხალხი—თორემ ის ის იყო უნდა ჩაცვივნულიყვნენ ზოგიერთი ოჯახიშვილების ხელში, რომლებიც არ ინდობენ კარის მეზობლებს და კოდს თუმანში უფასებენ პურს. მოკლე ვადიანი სესხი 5000 მანეთი უკვე მიღებულია რომელიც შაბიამნისთვის გადაიდო. აქაური ხალხი აუტანელმა სიძვირემ და წურბელა ვაჭრებმა აიძულეს მომხმარებელი დუქანი გაეღოთ—პირველ ყრილობას მთელი ხალხი დაესწრო და გაიძახოდენ: ოღონდ კი ამ სისხლის მწოველებისგან დაგვიხსენით და ერთი მანეთი საწევრო რა სათქმელია უკანასკნელ პერანგს გავყიდით და გადავიხდით ო. წესდება და თხოვნა უკვე გაიგზავნა დასამტკიცებლათ. აქაური მდინარე სტორი ყოველ წელს ზიანს აყენებს სოფელს—მაგრამ წლევანდელი მოლოდინი კი წარსულ ამბებს გადააჭარბებს რადგან—გამაგრებას არ იწყობენ წყალი კი ზედ სოფელზედ არის მოსული—სკოლას ორიოდე საჟენზედ დაშორებულია და შეიძლება უბედურება ეწვიოს ამ სოფელსაც. საჭიროა სოფლის პატრონებმა ყურადღება მიაქციონ. ამინდები მშვენიერია და მთასა და ველს ხელს უწყობს.

**წყაროს თაველი.**

## ანგარიში

ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოებამ განიზრახა რა ქართველ მოღვაწეთა აგარაკის აშენება, აირჩია ამასთანავე კომისია, რომელსაც დაევალა აგარაკის ასაშენებლად საჭირო თანხის შეგროვება.

კომისია საქმეს შეუდგა 1915 წ. ღვინობისთვის 13-ს, ამ დღიდან 1916 წ. აპრილის 1-ამდის კომისიამ მიიღო შემდეგი შემოწირულება:

ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობისაგან 300 მ., ხარფუხის საზოგადო კლუბისაგან 719 მ. 46 კ., უცნობ შემომწირველისაგან (ალექსანდრე ყიფშიძის ხელით) 300 მ., წაღვერის წვრილ კრედიტის ამხანაგობისაგან 100 მ., გიორგი ჟორდანიას მიერ შეკრეფილი სოფელ წაღვერში 59 მ. 53 კ., მიხეილ მირიანაშვილის მიერ ქორწილში მოგროვილი 55 მ. ალექსი ანდრიას ძე კინკლაძისაგან 50 მ., მარგალიტა სუმბათაშვილისაგან (სახალხო ფურცელი) 45 მ. 90 კ., აბასთუმანში მოგროვილი შალვა თუთბერიძის და კაკო ჭეიშვილის მიერ 42 მ. 40 კ., ევგრაფოს ლოსაბერიძისაგან (სახალხო ფურცელი) 40 მ., იაკინთე ცეცხლაძისაგან („საქართველო“) 27 მ. 75 კ. მ. კ. ინაძისაგან 25 მ., მიხეილ მურმანიშვილისაგან 25 მ., მაზაევისაგან 25 მ., *) „სახალხო ფურცლის“ მიერ გადმოცემული 25 მ., ანდრიოლეტისაგან 25 მ., კაპიტონ ბაქრაძისაგან 24 მ. 50 კ., შილდის საკრედიტო ამხანაგობისაგან 2„ მ. *) „თანამედროვე აზრის“ მიერ გადმოცემული 19 მ., მოსე და გიორგი ხელაძეებისაგან 20 მ. ანთიმოზ გიორგობიანისაგან (ადიჟანი) 17 მ., რ. გაჩეჩილაძისაგან 15 მ. 80 კ., მიხეილ გაჩეჩილაძისაგან (საქართველო) 14 მ. 30 კ.

**თითო თუმანი.**

სოსიკო მერკვილაძისაგან, დავით ავალიანისაგან („სახალხო ფურცელი“) ელენე დათეშიძისაგან, (საქართველო), ალექსანდრე ლორთქიფანიძისაგან, თავ. ბარათაშვილისაგან ექიმ ჯაფარიძისაგან, ვ. ნ. ალშიბაიასაგან, პეტრე ბესარიონის ძე კიზირიასაგან, ელისაბედ დათეშიძისაგან მღვდელი გაბეჩივაძისაგან (სოფელი სადგირი) 9 მ. 50 კ., პეტრე ნასიძის მიერ შეგროვილი მუშათა შორის (სად. აქტაგლიაში) 8 მ. 65 კ., *) „თანამედროვე აზრის“ მიერ გადმოცემული 6 მ.

**ხუთ-ხუთი მანათი:**

მაგდანე გაბაშვილისაგან, *) გაზეთ „საქართველო“-ს მიერ გადმოცემული, კნ. ანასტ. რევაზ. ამილახვარისაგან, ათანასი ფილიპეს ძე ნეფარიძისაგან, გაბო სარდიონის ძე გოცირიძისაგან, გიორგი ჟორდანიასაგან, თიკ. ჭრელაშვილისაგან, ნიკოლოზ მახათაძისაგან, თავად გრიგოლ დიასამიძისაგან, ეგოროვისაგან, ივანე გ. კუნდუროვისაგან, სიხარულიძისაგან, ელისაბედ იოსე. საგინაშვილისაგან, ელენე ალექსანდრეს ასული აბულაძისაგან, კნ. მარგალიტა ალექ. აბხაზისაგან, ნინო საგინაშვილისაგან, ილარიონ ისაკის ძე ხოსიტაშვილისაგან, ივანე და ანნა ზედგინიძისაგან, ცუცქირიძისაგან, ილია წერეთლისაგან (ბუხარიდგან), გიგო ედიბერიშვილისაგან, თავ. ალექსი მიხეილ. სუმბათაშვილისაგან, კნ. მარიამ ალექს. სუმბათაშვილისაგან, თავ. მიხეილ ალექს. სუმბათაშვილისაგან, ისაია ფურცელაძისაგან, კონსტ. ანდრიას ძე კვანტრიშვილისაგან, ნესტორ გრიგოლის ძე იმნაიშვილისაგან, ილარიონ სიმ. გიორგობიანისაგან, ვასილ ბეჟანის ძე გუჩიასაგან, ლუკა ბაქრაძისაგან.

**ოთხ-ოთხი მანათი.**

სერაფიონ ვარდიძისაგან და უცნობისაგან.

**სამ-სამი მანათი.**

ვასილ აბდალაძისაგან (სახალხო ფურცელი), მ. ნ. სარაჯიშვილისაგან, ძეგველიშვილისაგან, მ. ნ. ნათაძისაგან, სოფრომ მგალობლიშვილისაგან, გ. ე. ზნეევსკისაგან, მ. გ. ფედორენკოსაგან, გ. ბ. კიკნაძისაგან, ილია სამ. აბაშიძისაგან, დ. გ. ცხაკაძისაგან, კნ. ნინო მერაბ. თავდგირიძისაგან, კონსტანტინე იოსების ძე მამაცაშვილისაგან, ბ. ბრიკერტისაგან, ექიმ ცისკარაშვილისაგან, ს. დ ჯაფარიძისაგან, ექიმ ზაკრჟევსკისაგან, ი. კ. რაზმაძისაგან, კოტე ქურდოვანიძისაგან, თავ. ვასილ გიორ. მაჩაბლისაგან, ივანე მიხეილ. ჯაფარიძისაგან და ლევან მერ. გედევანიშვილისაგან.

**ორ-ორი მანეთი:**

იაკობ შევარდენიძისაგან, ილიკო ალექ. სირაძისაგან, კოსტა ცერცვაძისაგან, ნიკო ჯილაურისაგან, სარდიონ ანტონ. კიკნაძისაგან, ქაიხოსრო ივან. დეკანაიძისაგან, იაკობ ზედგინიძისაგან, კოწია ჩივაძისაგან, ვალერიან ესტატეს ძე კოკაშვილისაგან, იოსებ დალაქიშვილისაგან, ზაქარია ბოსტაშვილისაგან, კონსტანტინე ქიმერისაგან, ბორის ავალიანისაგან; გორში სადილის დროს შეგროვილი დიდებულიძის ოჯახში 1 მან. 50 კაპ.

**თითო მანეთი.**

უცნობისაგან, პ. ა. მუშკუდიანისაგან, ი. პ. მონაგაძისაგან, პავლე ცხვედიანისაგან, ზედგინიძისაგან, გომელაურისაგ, არქიმანდრიტ პიროსისაგან, დ. ნახუცრიშვილისაგან, ყარამან მუხუზლასაგან, ვანო გუნცაძისაგან, მიხეილ ავეტიქოვისაგან, ურუშან ამირხანოვისაგ, ნიკოლოზ კვანტალიანისაგან, ლუკა ტარ. ლებანიძისაგ, სანდრო დიმ. ონიკაძისაგან, ბესარიონ ხმალაძისაგან, სილიბისტრო გიგაურისაგან, ივანე ლეშავაშვილისაგან, არჩილ გოცამიასაგან, მიხელ მიქაძისაგან, პავლე მელანდარიძისაგან, ალექსანდრე საცხვენიშვილისაგ. მიშა აბჟანდარიძისაგან, ვასილ ბახტაძისაგან, ვანო ბარამიასაგან, ივანე მურდარიშვლისაგნ, ივანე ანთაძისაგნ, ყარამან გიორგაიასაგან, ლავრენტი თოფურიასაგან, ნიკოლოზ სერგეევისაგან, უცნობისაგან, ეპ. კედიასაგან, ნოე რამიშვილისაგან, ოლღა არდაზიანისაგან, მ. ქართველიშვილისაგან, მ. ა. უნთელიშვილისაგან, მარგალიტა არდაზიანისაგან, პ ი. საყვარლეძისაგან, ლ. ს. ჩიტაძისაგან, ვასილ თადეოზის ძე რატიშვილისაგან, დ. პ. ამირაჯიბისაგ, ი. ნ. ჩხიკვაძისაგან, ი. თ. გოთუასაგან, ვ. ბ. შავლაძისაგან, ნინო ცალქალამანიძისაგან, უცნობისაგან, ვახვახიშვილისაგან, ჭაგიარაშვილისაგან, ციციშვილისაგან, რ. კ. არასატოვისაგან, ნინო ჩიტაძისაგან, პ. ს. აბაშიძისაგან, იოსებ გაბუნიასაგან, ბ. გ. ნიჟარაძისაგან, ახმედხან აგიაბეგოვისაგან, ელისაბედ ვასილის ასულ საგინაშვილისაგან, ელენე პავლეს ასული კიზირიასაგან, კოზლოვსკაიასაგან, სალარიძისაგან, გაბაშვილისაგან, თავ. ციციშვილისაგან, თეოფინე მაკალთიასაგან, ვლადიმირ მაკალთიასაგან, ივანე ჩხენკელისაგან, პლატონ გეგენავასაგან, ხახანაშვილისაგან, არკადია გეგეჭკორისაგან, ექიმ მიხეილ ნასიძისაგან, რაჟდენ მეგინეიშვილისაგან 60 კ. იაგორ ჩხეიძისაგან 60 კ.

**ათა თი შაური:**

გალაკტიონ ხუხუნაშვილისაგან, გ. კ. ჭანუაშვილისაგან, გ. ი. ბაქრაძისაგან, პეტრე კაშიასაგან, ვანო ხმალაძისაგან, სირანა დავიდოვისაგან, ვლადიმერ სიმონიშვილისაგან, გიორგი ჩხიკვაძისაგან, გიორგი ბაქრაძისაგან, აკოფოვისაგან, ვ. ი. სისოევისაგან, ს. დ. კონტარიასაგან, ზაქარია ქურხულისაგან, მარიამ მათეშვილისაგან, გიორგი სამსონიაშვილისაგან, ივანე ნესტ. ლალიაშვილისაგან, ე. ვ. დგებუაძისაგან, ლ. ი. ბახავიშვილისაგან; ერმალია გოგოტიშვილისაგან 40 კ., ლორთქიფანიძისაგან 40 კ., მაყაშვილისაგან 30., ნოდარ ჯორჯაძისაგან 30 კ., ეკატ. ჩიაძისაგან 30 კ., კ. ს. ფანიაშვილისაგან 25 კ., ეკატერინე მეტრეველისაგან 20., გასიმოვისაგან 15 კ. **სულ შემოვიდა 2265 მან. 29 კაპ.**

კომისია უმორჩილესათა სთხოვს ყველა იმას, ვისაც ქართველ მოღვაწეთა აგარაკის ასაშენებელ თანხის გასაძლიერებლად ფული გაღებული აქვს და ამ სიაში გამოცხადებული არ არის გვაცნობოს ვის და როდის გადასცა ფული.

ამასთანავე ვაცხადებთ, რომ ვისაც კომისიის მიერ ფულის შეგროვება დავალებული აქვს, ფული უნდა აგროვოს უსათუოდ კვიტანციებით, რომელიც კომისიის მიერ ეგზავნება ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოების ბეჭედ დასმით.

კომისიის თავმჯდომარე: **ალ. ლორთქიფანიძე.** მდივანი **ვ. ყიფიანი.**

## წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ნება გვიბოძოთ თქვენი პატივცემული გაზ. „საქართველო“-ს საშუალებით ულრმესი მადლობა გამოუცხადო სოფ. ყვარელში მცხოვრებს სპირიდონ გრიგოლის ძე ქიბოშვილს, რომელმაც თავისის მეცადინეობა—თაოსნობით ჩემდამი რწმუნებულის ყვარელის ერთკლასიანი სამინისტრო სკოლის მოწაფეთ გამოუწერა ჟურ. „ნაკადული“ ამა წლის იანვრიდგან ერთის წლით. მადლობას ვუცხადებ აგრედვე იმ პირთ, რომელთაც თავიანთის წვლილის გაღებით ხელი შეუწყეს ამ მისაბაძ საქმის განხორციელებას.

ყვარელის სამინისტო სკოლის გამგე **ალ. არავიაშვილი.**

—

ბ-ნო რედაქტორო,

უმორჩილესად გთხოვ თქვენი გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა გამოუცხადო იმ პირთ, რომლებმაც კეთილი ინებეს და ჩვენ ღარიბ ონტოფოს უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოს გამოუწერეს გაზეთბი: ბ-მა აქვსენტი ქ. თაკვარელიამ გაზეთი „საქართველო.“ ბ-მა სანდრო ბჟალავამ გაზეთი „სამშობლო“.

ამასთანავე მადლობის ღირსია ყოფილი მწერალი მიხეილ აზ. ნოდია (თავის სამშობლო სუჯუნაშია გარდაყვანილი) რომელმაც თავის ნაცნობმეგობრებში შეაგროვა 40—50 მანეთი და სამკითხველოს შემოვლა ლობე, მადლობას ვწირავ პატივცემულ პირთაც, რომლებმაც ასეთი კეთილი საქმისათვის გაიღეს თავიანთი წვლილი ფულის სახით.

პატივის ცემით გამგეობის წევრი მასწ.

**ვლადიმერ ჩიხლაძე.**

*) ვარსკვლავით აღნიშნულია ფული, რომელიც გადმოეცა კომისიას შემომწირველთა აღუნიშნავად.

რედაქტორ-გამომცემელი

**სანდრო შანშიაშვილი**

## ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

**(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)**

**თბილისიდან გადის:**

| | | | № | ს. წ. |
|---|---|---|---|---|
| ბათომისკენ | სამგ. | მ. | 9 | . 8.53 სალ. |
| „ | საფ. | „ | 3 | . 9.58 დილ. |
| ხაშურისკენ | სამგ. | „ | 19-20 | 3.20 ნაშ. |
| ბაქოსკენ | ჩქარი | „ | 4 | . 10.20 სალ. |
| „ | ჩქარი | „ | 6 | . 12.8 დღის |
| „ | სამგ. | „ | 8 | . 11.13 ღამ. |
| ყარს-ერევნ. | საფ. | „ | 4-3 | . 11.13 ღამ. |

**თბილისში მოდის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათომიდან | საფ. | მ. | 4 | . 9.30 სალ. |
| „ | სამგ. | „ | 10 | . 9.51 დილ. |
| ბაქოდან | საფ. | „ | 3 | . 9.3 დილ. |
| „ | ჩქარი | „ | 5 | . 7.41 სალ. |
| „ | სამგ. | „ | 7 | . 1.42 ნაშ. |
| ხაშურიდან | სამგ. | „ | 19-20 | 7.25 დილ. |
| ყარს-ერევნ. | საფ. | „ | 4-3 | . 8.8 დილ. |

## კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

(თბილისის დრო)

**მიმოსვლა ყოველდღე სწარმოებს.**

**თბილისიდან გადის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ტფილისიდან . . | 8 ს. | 58 წ. | დილ. |
| ნავთლუღი-ამიერ კავ. | 9 „ | 23 „ | „ |
| ნავთლუღი-კახეთისა. | 9 „ | 43 „ | „ |
| ვაზიანიდან . . | 10 „ | 42 „ | „ |
| იორიდან . . . | 11 „ | 35 „ | „ |
| საგარეჯოდან . . | 12 „ | 17 „ | „ |
| ბადიაურიდან . . | 1 „ | 15 | დღის |
| მელაანიდან . . . | 2 „ | 37 „ | „ |
| გურჯაანიდან . . | 4 „ | 08 „ | „ |
| ვაჩნაძიანიდან . . | 4 „ | 58 „ | „ |
| თელავში მიდის . | 5 „ | 35 „ | „ |
| გურჯაანიდან . . | 4 „ | 18 „ | „ |
| კარდენახიდან . . | 4 „ | 50 „ | „ |
| წნორის-წყალ. მიდის | 5 „ | 15 „ | „ |

**თელავიდან**

| | | | |
|---|---|---|---|
| თელავიდან . . . | 8 ს. | 58 წ. | დილ. |
| ვაჩნაძიანიდან . . | 9 „ | 45 „ | „ |
| გურჯაანიდან . . | 10 „ | 46 „ | „ |
| მელაანიდან . . | 12 „ | 02 „ | „ |
| ბადიაურიდან . . | 1 „ | 13 „ | დღის |
| საგარეჯოდან . . | 2 „ | 15 „ | „ |
| იორიდან . . . | 2 „ | 53 „ | „ |
| ვაზიანიდან . . | 3 „ | 40 „ | „ |
| ნავთლუღ-კახეთ. . | 4 „ | 31 „ | „ |
| ნავთლუღ-ამიერ-კავ. | 4 „ | 46 „ | „ |
| თბილისში მიდის . | 5 „ | 01 „ | „ |
| წნორის-წყლიდან . | 9 ს. | 16 წ. | დილ. |
| კარდანახიდან . . | 9 „ | 46 „ | „ |
| გურჯაანში მოდის | 10 „ | 16 „ | „ |


სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერატურო ყოველთვიური ჟურნალი
**„სკოლა და ცხოვრება“**
სამი აპრილიდან გამოვა ქუთაისში შემდეგის პროგრამით: პედაგოგიკა, ოჯახური აღზრდა, ჰიგიენა, განათლება სკოლის გარეშე, ჩვენი სკოლა, უცხოეთის სკოლა, სახალხო მასწავლებელთა შორის, პროზა და პოეზია, ჩვენი მხარე, კრიტიკა და ბიბლიოგრაფია, კითხვა-პასუხი, მოღვაწეთა სურათები და განცხადებანი. ჟურნალში თანამშრომლობა აღგვითქვეს ჩვენმა ცნობილმა პედაგოგებმა და ლიტერატორებმა. ჟურნალი ეღირება ამა წლის დამლევამდი ოთხი მანეთი, ცალკე ნომერი ორი შაური. ფული და წერილები გამოიგზავნება შემდეგი მისამართით: ქუთაისი, ხაზინის წინ, ქალაქის მესამე სკოლა (ჟურნალისათვის). აქვე შეიძლება რედაქტორის ნახვა ყოველ დღე გარდა კვირა-უქმეებისა პირველ საათამდი. უმარკო წერილებს ვერ მივიღებთ.
რედაქტორ-გამომცემელი **ვლ. ნაცვლიშვილი.**

ქ. თბილისში, ოლგას ქ. № 6, ჟურნალ-გაზეთების კანტორა და წიგ. მაღაზია
**„განათლება“-ში**
**იყიდება** ყოველგვარი ქართული წიგნები, მწერ. სურათები, ომის ქარტები რომლებიც გაეგზავნება მსურველთ მოთხოვნილებისთანავე.
პროვინციელ აგენტებს გაეგზავნება აგრეთვე ყველა ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთები: „თანამედროვე აზრი“, „საქართველო“, „ეშმაკის მათრახი“, „თეატრი და ცხოვრება“, „სახალხო ფურცელი“, „ზვირთი“, ჟურნ. „განათლება“ კავკაზსკოე სლოვო“, „თბილისის ლისტოკი“, „ორიზონი“, „მშაკი“ და „ხათაბალა“.
ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладзе.
ტელეგრამის ადრესი: Ольгинская 6. Таварткиладзе.

**ხილეული, მადნეული წყლის** მხმარებელი საზოგადოების ჯანმთელობის ინტერესი მოითხოვს: **გაითხოვონ და ყვან ყოველთვის მხოლოდ მიტროფანე ლალიძის** და ამხ-ს ქარხნის საუკეთესო ხილეულ მადნეულის **ნამდვილი სამკურნალო** წყალი და გაუფრთხილდენ, მის ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი ერთობ გახშირებულია და ხშირად შეცდომაში შეყავთ, მხმარებელი საზოგადოება, თავიანთი დაბალი ნაწარმოების **ყალბი** ეტიკეტების მიმსგავსებით ნამდვილი ლალიძის წყლის ეტიკეტს ნიშანი შემდეგია
ქართულად თავშიოთული ქალის სურათი, რომელიც დამტკიცებულია სავაჭრო **სამრეწველო მინისტრის** მიერ პეტროგრადში და თვით პრობკებსაც აწერია
**„ლალიძის წყალი“**


**მხოლოდ და მარტო ლალიძის წყალია მომზადებული სრულიად უვნებელის მაღალი ღირსების მასალებისაგან, ნამდვილი და საუკეთესო ხილის წვნით და მასთანვე**
**სუნი და გემოც საამური აქვს**
წლ.

**წიგნის მაღაზია**
**„ახალი სიტყვა“ („Новая рѣчь“).**
**ი. დ. კიკნაძისა.**
თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.
გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნები; ვკისრულობთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ. განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქ გარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში.

**1916 წ. მიიღება ხელის მოწერა**
დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ
**„ნაკადულ“-ზე**
**წელიწადი მეთორმეტე**
**ჟურნალი** „ნაკადული“ გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.
**ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ**
**24** წიგნი „ნაკადული“-სა მცირე წლოვანთათვის. **12** წიგნი „ნაკადული“-სა მოზრდილთათვის.
ყოველი წიგნის 1-ლ გვერდზე იქნება მოთავსებული გამოჩენილ მხატვართა ნახატი
**ფასი ჟურნალისა:** წლიურად ორივე გამოცემა—5 მან. იმათთვის, ვინც ჟურნალს რედაქციაში მოიკითხავს, გაგზავნით კი 6 მან. ნახევარ წლით—3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ., ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი 3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ. მოზრდილთათვის 12 წიგნი—3 მან. გაგზავნით 3 მ. 50 კ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.
ვსთხოვთ ხელის მომწერლებს თუ ჟურნალი „ნაკადული“ არ მისდით, ერთი თვის განმავლობაში გვაცნობონ და ადრესის გამოცვლა დროზე შეგვატყობინონ ადრესის გამოსაცვლელად—40 კ. შეიძლება მარკებით გამოიგზავნოს.
**ხელის მოწერა მიიღება**
**ტბილისში**—„ნაკადული“-ს რედაქციაში, ზუბალაშვილის სახლი გოლოვინის პროსპ. № 8. Редакція „Накадули“, Головинскій пр. № 8. შემოსასვლელი დავითის ქუჩიდან, № 2. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქ. **ქუთაისში**—ისიდორე კვიცარიძესთან, მ. ყაუხჩიშვილთან და თ. მთავრიშვილთან. **სამტრედიაში**—ვლ. ნაცვალაძესთანა. **ფოთში**—ლუდმილა მეგრელიშვილთან. **ბათომში**—ტროფიმ ინასარიძესთან ფოსტაში და სამსონ ყაზაიშვილთან უპრავაში. **ოზურგეთში** და **ლანჩხუთში**—ლეო იმნაძესთან. **თელავში**—ვანო პაატაშვილთან. **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან. **ბაქოში**—მარიამ ნაკაშიძესთან. **გორში**—ქეთევან ჯავახიშვილთან და ნინო ლომოურთან. **ქიათურაში**—ივ. გომელაურთან. **ხონში**—მ. ი. ჰავჰანიძესთან. **მიხაილოვში**—გიორგი ნაკაიძესთან.
რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე**
გამომცემელი თ-დ **პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.**

**თევზის მრეწველნი**
**ძმ. ძეგველოვები**
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.
**განყოფილება ავლაბარში**
კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712
ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-შვილ, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზალალა, მცირე მარილიანი, შავი „მეშოხჩი“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრედვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

**ჯეჯილი**
საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი
**ოცდა მეშვიდე წელიწადი**
ჯეჯილი დაარსებულია 1890 წ. გამოვა 1916 წ. თვეში ერთხელ. ჟურნალში ორი განყოფილებაა, პატარებისათვის და მოზრდილთათვის
**ჟურნალი „ჯეჯილი“**
თბილისში ეღირება 4 მან. ქალაქ გარეთ (გაგზავნით) 5 მან. ნახევარი წლით 3 მან., ცალკე ნომერი 40 კაპ., ხელის მოწერა მიიღება თბილისში—ჯეჯილის რედაქციაში (არტილერიის ქუჩა, № 5.) რედაქციაში ისყიდება ყველა 26 წლის ნომრები და რედაქციის გამოცემული საყმაწვილო წიგნები.
**ფოსტის ადრესი:** Въ Тифлисъ въ Ред Грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“.
რედაქტორ-გამომცემელი **ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.**